



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საკპატიონი



სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

ქ. მცხეთა

13-03-2020

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 79/20

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასწავლო ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტებისა და 6¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასწავლო ცენტრის თანდართული დებულება.
2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ქ. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).

საფუძველი: მოხსენებითი ბარათი № 612-20/20, 13-03-2020.

თავმჯდომარე

მინდია დავითაძე

ეგზავნება: სტრუქტურულ ერთეულებს

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“
სასწავლო ცენტრის დებულება**

მუხლი 1. რეგულირების სფერო

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ (შემდგომში – საქპატენტი) სასწავლო ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) დებულება (შემდგომში – დებულება) განსაზღვრავს საქპატენტის სასწავლო ცენტრის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, სტრუქტურას, ორგანიზებას, ძირითად ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ინტელექტუალური საკუთრების სფეროს მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობით, საქპატენტის დებულებით, საქპატენტის თავმჯდომარის (შემდგომში – თავმჯდომარე) სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 3. ცენტრის ხელმძღვანელობა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თავმჯდომარე.

2. ცენტრის უფროსი:

ა) ახორციელებს ცენტრის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობას და საქმიანობის კონტროლს;

ბ) ამზადებს ცენტრის სამუშაო გეგმას და პასუხისმგებელია მის შესრულებაზე;

გ) განსაზღვრავს ცენტრის თანამშრომელთა სამსახურებრივ უფლებამოსილებებს და აკონტროლებს მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

დ) კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ვალდებულებების შესრულებას;

ე) ხელს აწერს ცენტრის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

ვ) უფლებამოსილია ცენტრის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მოითხოვოს ინფორმაცია და საჭირო დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ზ) პასუხისმგებელია სამუშაო გეგმების, თავმჯდომარის ბრძანებების, თავმჯდომარისა და კურატორი თავმჯდომარის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დავალებების შესრულებაზე;

თ) ამზადებს და თავმჯდომარეს წარუდგენს ცენტრის საქმიანობის ანგარიშს;

ო) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. ცენტრის უფროსი ანგარიშვალდებულია თავმჯდომარისა და კურატორი თავმჯდომარის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინაშე.

4. ცენტრის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მის მოვალეობას ასრულებს სხვა თანამშრომელი.

მუხლი 4. ცენტრის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები

1. კომპეტენციის ფარგლებში სასწავლო ცენტრის ფუნქციები და უფლება-მოვალეობებია:

ა) ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცოდნის გავრცელების ხელშეწყობა. საქპატენტის ამოცანებიდან, ფუნქციებიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სწავლების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და სასწავლო პროცესის ორგანიზება;

ბ) ინტელექტუალური საკუთრების სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავება, სწავლების საჭიროებების ანალიზი, სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

გ) დისკუსიების, თემატური სემინარების, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრებისა და სხვა სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;

დ) საქპატენტის თანამშრომლების, სტაჟიორებისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროთი დაინტერესებულ სხვა პირთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, მომზადება-გადამზადებისა და მომსახურების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა;

ე) ტრენინგთა, ტრენინგის ექსპერტთა და ტრენინგ-კონსულტანტთა შერჩევის, მომზადებისა და გადამზადების ორგანიზება;

ვ) სასწავლო ცენტრის განვითარების მიზნით, სხვადასხვა სახის ინოვაციური პროექტების შემუშავება და დანერგვა;

ზ) ინტელექტუალური საკუთრების სფეროში დისტანციური სწავლების მეთოდის შემუშავება და განხორციელება;

თ) ინტელექტუალური საკუთრების სწავლების სფეროში სამეცნიერო და მეთოდური მასალების, სახელმძღვანელოების, სასწავლო პროგრამებისა და სტანდარტების შემუშავება;

ი) სხვადასხვა ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების უწყებების სასწავლო ცენტრებთან და აკადემიებთან თანამშრომლობა სასწავლო და აკადემიური რესურსების გამოყენების, ერთობლივი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით;

კ) ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე შესაბამის საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულებებთან, აკადემიურ წრებთან და სხვა ორგანიზაციებთან, ასევე, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ერთობლივი სასწავლო პროგრამებისა და პროექტების შემუშავების, დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;

ლ) საქპატენტის ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო პროექტებსა და შესაბამის ღონისძიებებში მონაწილეობა;

მ) საქპატენტის მიერ დარგობრივი ლიტერატურის და პერიოდული გამოცემების მომზადებაში მონაწილეობა;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის მომზადება;

ო) წლიური ტექნიკური და სტატისტიკური ანგარიშების მომზადება;

პ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2. მოთხოვნის შემთხვევაში, ცენტრი უზრუნველყოფს ორგანიზაციებისთვის თანამშრომელთა, სტაჟიორთა, სტაჟიორობის კანდიდატთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მოსამზადებლად სხვადასხვა სახის სასწავლო კურსის, მათ შორის, კვალიფიკაციის ამაღლების პროექტების, გამოცდების, ტესტირებების, გასაუბრებების ორგანიზებასა და განხორციელებას.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელების მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია დადოს სათანადო ხელშეკრულებები.

მუხლი 5. ცენტრის რეორგანიზაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება თავმჯდომარის ბრძანებით.